

ალბომში ღრ[აფინია] ოპ[ერმანისას]

შეჰსტრფი საღამოს,
ტკბილ სუნნელ-მყუდროს.
მის სიბნელესთან სინათლე რეულს;
ცა ვარსკვლოვანსა,
ლაჟვარდოვანსა,
და შორით კავკაზს სახე დიდებულს!
მე მდუმარებით
ვჰმზერ გაოცებით
შენზე მთოვარის შუქსა მოდგმულად,
და ღამე ესე,
სიტურფით სავსე,
მრწამს, რომ შენგან არს დამშვენებულად!
მრწამს, ჩვენის ცისა
მშვენიერისა
შენ ხარ ვარსკვლავი, მოსული ქვეყნად!
მან ინეტაროს
ვის მოეფინოს
გულს შუქი შენი ტრფობისა ნიშნად!
მრწამს, ცის ნათელი,
ვარდის სუნნელი,

ერთად რეულნი სულად ქცეულა,
და შენს წმინდა გულს,
სიკეთითა სრულს,
უმანკოს, წრფელსა, დამკვიდრებულა.
ეგ ჩემნი მკვლელნი,
ზილფებნი-გველნი,
ვინ დაადგინა ვარდ-ღაწვთა მცველად.
რომ დღე და ღამით,
ესრედ განცხრომით
ზედ ხელმწიფობენ ჩემ თვალთა მწველად?
ნეტა ვის მისცეს
ბედმან მხვედრი ეს,
რომ გადაშლიდეს მაგ გველთა-მცველთა.
და ზედ დაკვდომით,
სულ ამოხდომით
ვარდთ დაგეკონოს ღაწვთზე გაშლილთა?
ანუ ეგ თვალნი,
ელვა მოსილნი,
ვისა უმზერენ მინაზებულად?
ან ვინ შეგეხოს

შენ წელ-კიპაროზს,
ხან ნიავებრ მსვლელს, ხან ხელმწიფურად?
როს მშვენიერთა,
ბაგეთა ვარდთა,
განაღებ მღერად თვალთ ზე-ახილვით,
მაშინ ნათელი,
ცით მოვლენილი,
გვირგვინოსან გყოფს თავს გარდმოფენით!
მაშინ მეც მესმის
ხმა ანგელოზის,
სულის, გონების ცადა აღმტაცი!
არ ვიცი, სად ვარ!
გულ-ტკბილად კი ვარ,
ვჰერძნობ ამ სიტკბოსა... ეს მხოლოდ ვიცი!
მაშ უგრძნობლობით,
გულ-გაქვავებით
ნუ დააბნელებ ნიჭთა ციურთა!
უსიხარულოდ,
უსიყვარულოდ

რა სანატრელ არს სიმრავლე დღეთა?
მაშ რამ გვახაროს,
რამ გვანუგეშოს,
ან ჭმუნვის ცრემლი ვინა მოგვხოცოს,
თუ სიყვარული,
ზე-გარდმო მადლი,
ღვთისა კურთხევად არ მოგვევლინოს?
შენსა მელექსეს
მაქვს ვედრება ეს,
რაც ვერ ვჰერძნები ენით, მიხვდე გულითა!
და შორს კავკაზია,
და მეც მუნ მყოფსა,
ნუ მოგვიგონებ გულ-სიგრილითა!

1840 წ.